პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ყოველ დღიური ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ, 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

117 (1012) | შაბათი, 29 მაისი 1926 წ. | 117 (1112)

## წითელ არმიელო, იზრუნე თავის ჯანმრთელობაზე ბანაკში.

ბანაკში ყოფნა მოითხოვს თითეულ წითელ მებრძოლისაგან დიდის ყურადღებით მოეპყრას თავის ჯანმრთელობის დაცვას. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან რაც უფრო ნაკლები იქნება ავადმყოფობის შემთხვევები მით უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს საზაფხულო სწავლება. ამიტომაც წითელ არმიელი ყოველმხრივ მოწადინებული უნდა იყოს დაიცვას თავისი თავი ყოველგვარ სნეულებისაგან და მეორეს მხრივ ეცადოს გაამაგროს თავისი ჯანმრთელობა. სხვა და სხვა სპორტიული ვარჯიშობანი, სუფთა ჰაერი, მდინარეში ბანაობა, მზის ვანები—ყოველივე ეს ჯანმრთელობას ამაგრებს. მაგრამ ზიანიც შეუძლია მოიტანოს, თუ წითელ არმიელმა არ იცის რა და რა დროს უნდა ივარჯიშოს, იცუროს და მზის სხივებით გაირუჯოს კანი. ამისათვის კი საჭიროა განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრას სანიტსაათს და სანიტსაგანმანათლებლო მუშაობას ბანაკში. აგრეთვე ყოველი წითელი მებრძოლი მოვალეა დაიცვას სისუფთავე როგორც თავის თავის მიმართ, ისე მთელ ნაწილში. ვერიდოთ უნდა ხილეულობასაც, რომელსაც ეპიდემიური ხასიათის სნეულებების გამოწვევა შეუძლია. ერთი სიტყვით სანიტსაგანმანათლებლო საქმე პირველ ადგილში უნდა იქნას დაყენებული ბანაკობის პერიოდში. მტკიცე ჰიგიენური პირობების დაცვა და როგორც თავის თავის, ისე სხვა წითელ არმიელების ჯანმრთელობაზე ზრუნვა—აი რა ევალება თითეულ წით. მებრძოლს, მეთაურს, პოლიტმომუშავეს და რასაკვირველია საექიმო შემადგენლობას. ზაფხულის ცხოველმყოფელი მზე, ჯანსაღი ჰაერი, მდინარის წყალი და სხვა და სხვა სახის მსუბუქი სპორტი გამოყენებულ უნდა იქნას ახალგაზრდა მებრძოლთა ჯანმრთელობის გასამაგრებლად, რაც ერთი საუკეთესო თავდებთაგანია ჩვენი წითელი ჯარის ნაყოფიერი სამხედრო მომზადებისა და მისი საბრძოლო უნარის აწევისა.

## ნაოსნობა ამიერ-კავკასიის წყლებზე.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო უწყებამ მიიღო 5 წლის მუშაობის გეგმა შინამიმოსვლის მოსაწყობად და მიიღო აგრეთვე ხარჯთაღრიცხვა ამ მუშაობის საწარმოებლად 3 მილიონი 540 ათასი მანეთის რაოდენობით.

გეგმით გათვალისწინებულია მუშაობა მდინარე რიონსა და მტკვარზე და სევანის ტბაზე.

ომამდი მდინარე მტკვარზე ვესიერი ნაოსნობა სწარმოებდა მდინარის ჩასართავიდან ევლახამდი. ტვირთის ტრიალი უდრიდა 12 მილიონ ფუთს.

სამოქალაქო ომის წლებში მდინარე მტკვარზე შესწყდა ნაოსნობა და 1921—22 წლებში უკვე დაიწყო გამოცოცხლება.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მიღებული გეგმა მიზნად ისახავს აღადგინოს ნაოსნობა მტკვარზე ევლახამდი და გაავრცელოს ნაოსნობა აღმა, მდინარე ალაზნის ჩასართავამდი. ევლახიდან ალაზნის ჩასართავამდი განზრახულია მეორე სანაოსნო უბნის მოწყობა ნავთსაშენით, ვინაიდან პეტროპავლოვსკში არსებული ნავთსაშენი ვერ აუვა მუშაობას.

გეგმა ითვალისწინებს ახალი გემების შეძენას.

სულ ნაოსნობის მოწყობა მდინარე მტკვარზე 5 წლის განმავლობაში მოითხოვს 2 მილიონ 190 ათას მანეთს.

გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ნაოსნობის აღდგენას რიონზე. წინად რიონზე ნაოსნობა სწარმოებდა 100 ვერსის მანძილზე, მდინარის ჩასართავიდან სოფელ ორპირამდი.

გეგმით გათვალისწინებულია რიონის შეერთება ფოთის ნავთსადგურთან და განსაკუთრებული არხის გაყვანა ინგურთან შესაერთებლად.

რიონის ზემო ნაწილიდან ინგურამდი უშუალოდ შეიძლება ხე-ტყის გატანა ფოთის ნავთსადგურში ისე, რომ გემებს არ დასჭირდება გაშლილ ზღვაზე გასვლა. ინგურის არხი გააადვილებს ხე-ტყის უშუალო გამოტანას სვანეთიდან ფოთის ნავთსადგურში.

ახლო წლებში ტვირთის ტრიალი აყვანილ იქნება 7 მილიონ ფუთამდი, ყოველივე ამას მოუნდება 922 ათასი მანეთი.

არხი, რომელიც შეაერთებს რიონს ინგურთან, გაყვანილ იქნება ზღვის ნაპირის გასწვრივ 29 ვერსის მანძილზე.

სევანის ტბაზე გეგმით გათვალისწინებულია ორი ნავთსადგურის აგება, კატერებისა და ნავების შეძენა და სანაოსნო ტეხნიკური მეთვალყურეობის დამზადება.

მუშაობის გეგმა ეგზავნება რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო უწყებას დასკვნისთვის, ნავთსადგურთა განყოფილებას ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო უწყება წინადადებას აძლევს გაეცნოს სამელიორაციო მუშაობის მთავარ გეგმას ამიერ-კავკასიის ფედერაციაში და დაუკავშიროს მას ნაოსნობის გეგმა მდინარეზე.

სახელმწიფო საგეგმო სექციებს, რომლებიც ამუშავებენ მელიორაციისა და ელექტროფიკაციის საკითხებს, წინადადება მიეცა მიიზიდონ მუშაობაში მონაწილეობისთვის ამიერკავკასიის ფედერაციის ნავთსადგურთა განყოფილება.

# ინგლისის მთავრობამ საგრძნობლად შეამცირა ნახშირისა და ელექტროს ენერგიის ხმარების ნორმა

## მაკდონალდი „ბრძნულად" ურჩევს თავი დაანებონ გაფიცვებსა და კავშირთა საბრძოლო გაერთიანების შექმნას

### გრძელდება კომუნისტების დევნა

## პოლონეთში სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა ფაშისტებსა და პილსუდსკის მომხრეებს შორის

## მაკდონალდის „სიბრძნე".

ინგლისის ყოველკვირეულ გაზეთ „პასუხებში" გამოქვეყნებულია მაკდონალდის წერილი, რომელშიაც ის აცხადებს: „არა სასიამოვნოა როცა მესმის, რომ საყოველთაო გაფიცვა არსებითი იარაღია სამრეწველო ბრძოლაში. არავითარი საზოგადოება არასდროს არ დაუშვებს საყოველთაო გაფიცვის გამარჯვებას იმ მოსაზრებით, რომ მან არ დაიმორჩილოს საზოგადოება. აქ წამოაყენეს და ავითარებენ იდეებს, რომ თუ იქნება გამოცხადებული გაფიცვა-გაფიცვაზე და შესდგება კავშირთა საბრძოლო გაერთიანებები, უფრო ადვილად შეიძლება სამართლიანობის მიღწევაო. სახელმწიფოს ეს არ უნდა. დეე პროფკავშირებმა გაუწიონ ანგარიში ფაქტებს".

## დაიწყეს მომჭირნეობა

ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა საგანგებო განკარგულება ნახშირის მოხმარების შესახებ. სახლის პატრონებს მიეცემა ნახშირი მეტად განსაზღვრული რაოდენობით და ისიც ნახშირის კანტროლიორის სპეციალური ნებართვით. განახევრებული იქნა აგრეთვე ნორმა გაზისა და ელექტრო ხმარებისა სამრეწველო, სავაჭრო დაწესებულებებისათვის და აგრეთვე ეკლესიებისა და სკოლებისათვის.

სრულიად აკრძალული იქნა ელექტრო ენერგიის გამოყენება რეკლამებისა და განცხადებებისათვის.

## მთა-მადნის მუშათა მოწოდება

ინგლისის კომპარტიის გაზეთი „უორკერს-უიკლი" ათავსებს მთა-მადნელ მუშათა მოწოდებას პროფკავშირებისადმი აკრძალონ ნახშირის გადატანა. გაზეთი მოუწოდებს პროფკავშირთა ყველა საბჭოებსა და განყოფილებებს ნუ დატვირთავენ თავიანთ რაიონებში ნახშირი.

## უმუშევართა რიცხვი ინგლისში

რეიტერის სააგენტოს ცნობით, უმუშევართა რიცხვი ინგლისში 17 მაისისთვის უდრიდა 7 მილიონ 612 ათას 700 კაცს, ე. ი. 36.801 კაცით მეტს, ვინემ წინა კვირაში იყო და 427.880 კაცით მეტს, ვინემ 1925 წლის მაისში იყო.

## კომუნისტების დევნა.

შეფელდსა და როტერგემში პოლიცია გაცხარებით სდევნის კომუნისტებს. რამოდენიმე კომუნისტს მიუსაჯეს ჯარიმა საგრძნობი რაოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რომ ჯარიმას არ გადიხდიან, გაცემულია განკარგულება მათი დაპატიმრების შესახებ.

## საფრანგეთის ზარალი სირიაში

არაბების გაზეთის „კარმელის" ცნობით ფრანგებს შეტევის დროს სირიაში მოუკლეს 1.258 კაცი, ამათ შორის—16 უმაღლესი თანამდებობის ოფიცერი, დაჰკარგეს 4 ტანკა, 26 ზარბაზანი და მრავალი თოფი. გარდა ამისა დრუზებმა ტყვედ ჩაიგდეს 500 კაცზე მეტი.

## სისხლის მღვრელი შეტაკება პოლონეთში

25 მაისს ლვოვში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება.

დილიდანვე ქალაქში გამოჩნდა გლეხები მეზობელ სოფლებიდან. გლეხები შეიკრიბენ მიტინგზე, რომელიც მოწვეული იყო დეპუტატ ბრილის მიერ. ერთ ქუჩაზე შეიკრიბა ფაშისტები, ხოლო სხვა მოედნებზე პილსუდსკის მომხრე ლეგიონერები.

როცა ერთი ფაშისტი სიტყვას ამბობდა, ლეგიონერმა წამოიძახა „გაუმარჯოს პილსუდსკის". ფაშისტები ეკვეთენ ჯოხებით ლეგიონერს. ლეგიონერს მიეშველა ამხანაგები.

ლეგიონერები დაეწია ფაშისტებს; გაჩაღდა ჩხუბი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ გლეხები. ჩხუბის დროს ბევრი დაიჭრა.

ფაშისტები გაემგზავრენ თავის მიტინგზე, მაგრამ მოედანი დაკავებული იყო უკვე ლეგიონერების მიერ. ლეგიონერებსა და ფაშისტებს შორის გაჩაღდა ნამდვილი ბრძოლა.

ფაშისტები ეკვეთენ მოპირდაპირეებს ძახილით: გაუმარჯოს მუსოლინის". (მუსოლინი ფაშისტების ბელადია.)

ლეგიონერებმა განდევნეს ფაშისტები. მოედანზე დარჩა 50 დაჭრილი, ამათგან 20 მძიმედ დაჭრილია.

## პარტიზანთა რაზმები პოლონეთში

ბელორუსიის გაზეთის ცნობით ლიდის მახლობლად თავი იჩინა პარტიზანულ რაზმებმა. პარტიზანები თავს დაესხა საბარგო მატარებელს.

## საფრანგეთის სოციალისტები განხეთქილების წინაშე

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ყრილობის რეზოლიუცია მოწმობს იმას, რომ ცენტრის მემარცხენე ფრთამ მუხლების უმეტესობაში დაუთმო მემარჯვენე ფრთას.

რენოდელი, რომელიც მეთაურობს მემარჯვენე ფრთას მაინც უკმაყოფილო დარჩა ბურჟუაზიულ მთავრობათა უარით სისტემატიურ დახმარებაზე, პარტიული დისციპლინის დარღვევის შემთხვევათა დაგმობით და წამოყენებულ მოთხოვნილებით—მომავლისთვის ერთსულოვნობა დაიცვან პარტიულ გამოსვლებში.

პროტესტის ნიშნად რენოდელის ჯგუფმა განაცხადა, რომ ის უარს ამბობს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მონაწილეობაზე. ეს უარი შეფასებულია როგორც პირველი ნაბიჯი განხეთქილებისაკენ.

# საქართველოში.

## პოლიტსკოლების გახსნა.

ფოთში გაიხსნა ორი პოლიტსკოლა ორთვენახევრიან კურსებით პარტიის წევრებისა და კანდიდატებისთვის. მსმენელთა რიცხვი 65 კაცს უდრის.

## აჭარისტანში

### ნავთი და ქვანახშირი

აჭარისტანსა და დასავლეთ საქართველოში პროფესორ მიხაილოვსკის მეთაურობით გაემართა სპეციალური კომისია ნავთისა და ქვანახშირის მადნების გამოსაკვლევად.

### მოძრავი კინო

საქართველოს კინომრეწველობის სააგენტომ ქობულეთისა და ჩაქვის სახალხო მამულის მუშათა კლუბებისთვის მოაწყო მოძრავი კინო.

# თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის გადამზადება

თადარიგის მეთაურთა გადამზადების შესახებ მ. გ. წ. არმიის მთავარ ინსპექტორის პროგრამით გათვალისწინებულია: პოლიტიკური მომზადება, სამხედრო ადმინისტრაცია, სასროლო საქმე და სროლა, ტაქტიკური მომზადება და მეთოდიური მეცადინეობა.

სამხედრო ადმინისტრაციის დარგში, გარდა წითელი არმიის ორგანიზაციის სტრუქტურასა და აღმშენებლობასთან გაცნობისა, მეთაურთა შემადგენლობა დაწვრილებით გაეცნობა „კანონს სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ“ და შეღავათებს, რომლებიც ენიჭება სამხედრო მსახურთ.

სასროლო მომზადების დარგში—მეთაურთა შემადგენლობა შეისწავლის დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევს და მათ მოხმარებას.

ტაქტიკაში გავლილ უნდა იქნას ყველა მეცადინეობა, რომელსაც მოითხოვს საველე სამსახურის წესდება, ქვეითა ჯარის საბრძოლო სამსახური და აგრეთვე ბრძოლის ტეხნიკური თვისებები (არტილერია).

რომელ ნაწილებში ტარდება თადარიგის მეთაურთა შეკრება?

ტერნაწილებში ამჟამად ტარდება 1903 წელში დაბადებულ მომავალ ცვალებადელთა სწავლება. ძირედი მეთაურთა შემადგენლობა იქ მეტად დატვირთულია და, მაშასადამე, ამჟამად შეუძლებელია ჩატარებულ იქნას ამ ნაწილებში თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის მომზადება. დაგვრჩენია ისეთი ნაწილები, რომელთაც არ აქვთ ცვალებად შემადგენლობის შესაკრები რაიონები და, გარდა ამისა, მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებელი სკოლა და სპეციალური ჯარის ნაწილები.

თეორიული და პოლიტიკური მეცადინეობა მეთაურთა შემადგენლობასთან ჩატარებულ უნდა იქნას ჯგუფური მეთოდით. რაც შეეხება პრაქტიკულ მეცადინეობას, ქვეითი ჯარის მეთაურთა შემადგენლობა მეცადინეობის ხასიათის მიხედვით შეიკრიბებიან ასეულებსა და ოცეულებში და დაინიშნებიან სათანადო ნაწილებში, როგორც ძირედი შემადგენლობის თანაშემწეები. ამასთანავე მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას თანამდებობა, რომლის მიხედვითაც აყვანილია აღრიცხვაში თვითეული პირი.

მეთაურთა შემადგენლობა და სამხედრო უწყების ორგანოები სავსებით მომზადებული უნდა იყოს მომავალი კამპანიის გატარებისათვის, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის თავდაცვის საქმეში. („კრ. ზვ.“)

ს. კ—ვი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ბიურო კოლექტივის მუშაობა 1-ლ არტლეგიონში.

(გაგრძელება.)

**1) სკოლის გარეშე მუშაობა**

ამ დარგში ბიურო კოლექტივს შემდეგი სახის მიღწევები აქვს: დიდი ყურადღება მიექცა ლენ-კუთხის მუშაობას. მისი მუშაობის გეგმა იმდენათ გამარტივებული იქმნა, რომ წითელ არმიელებს საშუალება მიეცათ აქტიურათ ჩამბულიყვენ ლენკუთხის მუშაობაში. აგრეთვე ლენკუთხეებში დაარსებული იქმნა ბირთვები. ხოლო რაც შეეხება წრეების მუშაობას უნდა ითქვას, რომ ის არ არის სასურველათ დაყენებული, რასაც ალბათ დიდ ყურადღებას მიაქცევს მომავალი ბიურო კოლექტივი. მასიური მუშაობაში კი მართლად საგრძნობი მიღწევები გვაქვს. მაგ. სისტემატიურათ ეწყობა ლექციები, ექსკურსიები და სხვა.

**2) ახ. კომკავშირის მუშაობა.**

ახ. კომკავშირის მუშაობა ამ ჟამათ საგრძნობლათ წინ წავიდა.

მისი მუშაობის ასეთი განვითარება, რასაკვირველია აიხსნება იმ გარემოებით, რომ ბიურო კოლექტივი დიდ ხელმძღვანელობას უწევდა მას. ამის გამო თვით კომკავშირის წევრების რაოდენობამაც რიცხობრივათ საგრძნობლათ მოიმატა.

**3) თვითმოქმედ ორგანიზაციის როლი გაიზარდა.**

თვითმოქმედ ორგანიზაციათა როლი საგრძნობლათ გაიზარდა.

ამ დარგში ჩვენ გვაქვს, როგორც მიღწევები ისე ნაკლიც. მიღწევები უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ შევსძელით ყველა ბატარეებში ჩამოგვეყალიბებია უჯრედები, ბიუროები და სხვა. ხოლო ნაკლი კი იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ ვერ შევსძელით სრული 100 პროც. ჩაგვება ამ მუშაობაში წითელ არმიელთა მასა. ამას სათანადო ყურადღებას მიაქცევს მომავალი ბიურო კოლექტივი და შეეცდება მის გამოსწორებას.

**4) სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირი.**

სამოქალაქო ორგანიზაციასთან სათანადო კავშირი არის გაბმული.

სახელდობრ ასეთი კავშირი არსებობს გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის მუშებთან, სადაც მოწყობილია სამხედრო კუთხე. იკითხება მოხსენებები სამხედრო საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე. დასწრება მოხსენებებზე კარგია.

ტ. მამალაძე.

# ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა

მეფის ძველ არმიაში და წითელი არმიის პირველ წლებში, ქვეითი ჯარები შეტევაზე წინ მიიწევდა გრძელი შარით ერთ წყობაში. ამ შარში ათეულები დამოუკიდებლად არ მოქმედებდენ. აქ ოცეულის შარს უშუალოდ ხელმძღვანელობდა თვითონ ოცეულის უფროსი.

ასეთი წყობა (შარი) არ იყო ხელსაყრელი იმიტომ, რომ ის იყო მეტად ტლანქი, ძნელი იყო მისი ხელმძღვანელობა მთლიანად, და თუ რომ მტერი გაარღვევდა რიგებს ერთ ალაგას, უკან უნდა დაეხია ყველას, ან და სრულებით იკარგებოდა ხელმძღვანელობა. გარდა ამისა ასეთი წყობილება ადვილი შესამჩნევი იყო მტრისთვის და ცეცხლის დროს დიდძალი მეომრები იღუპებოდა.

ტეხნიკის განვითარებით, ავტომატების, ტყვიამფრქვევების შემოღებით და სხვა, ასეთი წყობა შარისა გამოუსადეგი გახდა.

ამჟამად მთელ შეტევას საფუძვლად უძევს განცალკევებული, მეჩხერი წყობა, სადაც ნაწილი იყოფა და ყველა პატარა ერთეული—ათეულები აწარმოებენ წინსვლას დამოუკიდებლად. მცირე ჯგუფებით (ათეულებით) ასეთ შეტევის წარმოებას სხვაგვარად ეწოდება ჯგუფური ტაქტიკა.

წითელ არმიაში ჯგუფური ტაქტიკა შემოღებულია, უმთავრესად, საფრანგეთის არმიის მაგალითის მიხედვით. ათეულის ჯგუფებით შეტევის დროს, მცირე ერთეულებს შეუძლიათ წინსვლა უფრო ფარულად. თუ რომ მოპირდაპირემ იერიში მიიტანა ერთ რომელიმე ათეულზე, წყობა კავშირს არ სწყვეტს; გვერდებზე მყოფი ათეულები—მეზობლები თავისი ცეცხლით იფარავენ ხიფათში ჩავარდნილ ამხანაგებს, თუ რომ ერთი ათეული შეაჩერა მტერმა ისე, რომ მას არ შეუძლია წინსვლა, დანარჩენი ათეულები წაიწევენ წინ, გახსნიან ცეცხლს, მიიზიდვენ მოპირდაპირის ყურადღებას და წინსვლის საშუალებას აძლევენ ჩამორჩენილ ათეულს.

# პეტლიურას მკვლელის ჩვენება

მეფის ყოფილ პოლკოვნიკის პეტლიურას მკვლელმა შვარცბარმა დაკითხვაზე განაცხადა, რომ მოქმედებდა პირადი გადაწყვეტილებით და სურდა სამაგიეროს გადახდა იმ მხეცობისთვის, რომელსაც იდენდა უკრაინაში პეტლიურას ბანდები.

შვარცბარმა, დაინახა რა პეტლიურა რესტორანიდან გამოსული, დაუძახა მას „თავი დაიცავი“-ო და 7-ჯერ ესროლა მას.

გამოძიებამ დაადასტურა ჩვენების სისწორე.

თეთრგვარდიელების გაზეთები ცდილობდენ დაემტკიცებიათ, რომ პეტლიურას მოკვლა ბოლშევიკების საქმეაო, მაგრამ საფრანგეთის გაზეთებში ვერ ჰპოვა გამოძახილი მათმა ცდებმა.

# კრება წითელი ფლოტის სამ დღიურის შესახებ

1-ლ და 2-ე ქ. მ. ლეგიონებში

25 მაისს შესდგა 1-ლ ქ. მ. დივიზიის ა. ლ. კ. კავშირის უპარტიო წ. არმიელთა და ა. ლ. კ. კავშირის სამოქალაქო ორგანიზაციის გაერთიანებული კრება.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი. წითელი ფლოტის სამდღიურის მნიშვნელობა მისი გამაგრების საქმეში და კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

ორივე საკითხის შესახებ მომხსენებლებმა გასაგები ენით აგვიხსნეს ყველაფერი. მოხსენების შემდეგ კრებამ გამოსთქვა აზრი ბანაკობის დროს გამოიყენონ ყოველი წუთი და სამოქალაქო ორგანიზაციებთან და გლეხობასთან იქონიონ მტკიცე კავშირი, რომელიც ხელს შეუწყობს წ. ჯარის განმტკიცებას და მშრომელ გლეხობის განვითარებას.

კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება ყოველმხრივ შეუწყოს ხელი წითელი ფლოტის სამდღიურის წარმატებით ჩატარების საქმეს.

ქ. მინდიაშვილი.

# ხშირად ასეთი კრებები.

ს კომენდანტო გუნდი.

25 მაისს ტერსამმართველოს საკომენდანტო ვუნდში შესდგა ნაწილის ახკომკავშირის ღია კრება, რომელსაც დაესწრო უფ-პოლიტშემადგენლობაც. გაკეთებული იქნა მოხსენებები მრავალი საყურადღებო საკითხების შესახებ. გუნდის წითელ არმიელები მრავალ შეკითხვებს იძლეოდენ სხვა და სხვა საკითხებში გასარკვევად.

საჭიროა ასეთი ღია კრებები ხშირად ხდებოდეს ნაწილებში, რადგან წითელ არმიელებს ძლიერ აინტერესებს კავშირის საქმეებთან დაახლოება. ღია კრებები კი საუკეთესო საშუალებაა უპარტიო წითელ არმიელების მიზიდვის საქმისთვის.

ა. სიჭინავა.

# ინგლისის მუშათა გაფიცვა

## და კომუნისტური პარტიის როლი

მუშათა მოძრაობის ისტორიაში ინგლისის მუშათა უმაგალითო ბრძოლა ჩატარდა ეგრედ წოდებულ „მუშათა პარტიის“ და პროფკავშირთა მემარჯვენე ბელადების ხელმძღვანელობით.

რა როლი ითამაშა ამ პირობებში ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ?

ამოცანა, რომელიც წილად ხვდა კომუნისტებს—დიდია. პროფკავშირთა მემარჯვენე შეთანხმებელ ბელადებმა ვერ შესძლეს გაერკვიათ ამ ბრძოლის მთავარი შინაარსი და დაესახათ მისთვის განსაზღვრული და ნათელი მიზნები. ამის გაკეთება შეეძლო მხოლოდ კომპარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს ლენინის სწავლებით.

შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ დიდი მუშაობა შეასრულა ამ მხრივ.

**კომპარტიის ლოზუნგები**

როცა გაიმართა დისკუსია ქვანახშირის კომისიის მოხსენების გარშემო, ინგლისის კომპარტიამ წამოაყენა სწორი ლოზუნგები:

—„არც ერთი გროშის დაკლება სამუშაო ხელფასზე“.

—„არც ერთი წუთის მომატება სამუშაო დღეზე“.

—მაღაროების ნაციონალიზაცია მეპატრონეებზე აუნაზღაურებლად“.

ეს ლოზუნგები გახდა ფართე მასების მოთხოვნილება. ამ ლოზუნგებით დაიწყო და სწარმოებდა ფაქტიურად მთა-მადნის მუშათა გაფიცვა. ამ ლოზუნგებითვე მიმდინარეობდა ფაქტიურად მთა-მადნის მუშებისადმი თანაგრძნობის გაფიცვა.

ბრძოლის მიმდინარეობაში ინგლისის კომპარტიამ შესძლო თანდათანობით გაეფართოებია მებრძოლ მასების ლოზუნგები. ის ეუბნებოდა მუშებს, რომ აუცილებელი საჭიროა მოგერიებიდან თავდასხმაზე გადასვლა: უნდა შეიქმნას ყოველგან მოქმედების საბჭოები და მოეწყოს თავდაცვის რაზმები. და მოქმედების საბჭოები იქმნებოდენ, იქმნებოდა აგრეთვე მუშათა პირველი საბრძოლო რაზმები.

შემდეგ კომპარტიამ წამოაყენა ლოზუნგი:

—„ძირს ბურჟუაზიის მთავრობა!..“

—„გაუმარჯოს მუშათა მთავრობას!“

და ეს ლოზუნგი მართლაც თანადროული იყო, ვინაიდან ასეთი მუშათა მთავრობის ჩანასახი უკვე იყო, თუნდაც შექმნილი ინგლისისთვის უჩვეულო პარლამენტ გარეშე გზით.

ინგლისის კომუნისტების შემდეგი ამოცანები ჩამოყალიბებული იყო წერილში, რომლებიც გაუგზავნა მათ კომინტერნის აღმასკომმა 8 მაისის თარიღით:

**მთელი არსებით მოძრაობაში**

„ინგლისის კომუნისტები მთელი არსებით უნდა გადაეშვას დაწყებულ მოძრაობაში, თვითეული მათგანი თავდავიწყებით უნდა მიეცეს დაწყებულ დიდი გაფიცვის დახმარებისა და განვითარების საქმეს. კომუნისტური პარტიის ამოცანა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რათა გაუშუქოს გზა მუშათა მილიონებს, დაეხმაროს მათ მოძრაობის ლოზუნგების გამომუშავებაში, გაადრმავოს და გაამახვილოს ეს ლოზუნგები თვით მასების მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით; აამაღლოს მოძრაობა მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლის უმაღლეს ფორმამდი—ძალაუფლებისთვის“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომინტერნის მითითება ბრძოლის ორგანიზაციულად განმტკიცებაზე. სწორედ იმ დროს, როცა მოძრაობის ხელმძღვანელობა მემარჯვენეების ხელში იყო, აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა მასების წინააღმდეგობის გაძლიერება, რომელთა გულწრფელი სურვილი იყო ბოლომდის ებრძოლათ მასიურ ორგანიზაციების შექმნისათვის მოძრაობის ძირა ფენებში.

„ეჭვი არაა,—ნათქვამია კომინტერნის წერილში,—რომ ასეთი დიდი მოძრაობა გამოიწვევს მუშათა ორგანიზაციების ახალი ფორმების შექმნას. მოწინავე მუშა კომუნისტები მთელ ძალღონეს მოანდომებენ იმას, რათა დაეხმარონ მუშათა ორგანიზაციების ახალ ფორმებს—დაიკავონ სათანადო ადგილი“.

ინგლისის პროლეტარიატის დიდი ბრძოლა ვერ გადაიქცა რევოლუციად. კომპარტია ჯერ კიდევ სუსტია, რომ აჯანყება მოაწყოს, უხელმძღვანელოს გადამწყვეტ ბრძოლას ძალაუფლებისთვის, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ის.

ბრძოლის დროს შეუძლებელი იყო გაფიცვის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გალაშქრება, თუმცა ხელმძღვანელები იმ თავითვე ვერ იმსახურებდენ ნდობას. „კომუნისტებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზე დამოკიდებულია იმისთვის, რათა დაიცვან მთლიანობა მუშათა საგაფიცვო მოძრაობის ხელმძღვანელობაში“.

მაგრამ როცა მემარჯვენე ბელადები აღმოჩნდენ „მისი უდიდებულესობის“ ერთგული მოსამსახურეები და გაჰყიდეს მუშები, კომპარტია უნდა წასულიყო მათ წინააღმდეგ. ის ჯერ კიდევ გაფიცვამდი აფრთხილებდა მუშებს შესაძლებელ გამყიდველობის წინააღმდეგ მემარჯვენე ბელადების მხრიდან. ის ეხლა საბოლოოდ გამოაშკარავებს მათ და ეცდება, რომ ეს გამცემლები მომავალში არ დარჩენ მუშათა ორგანიზაციების სათავეში.

უკანასკნელ დღეების მწარე გამოცდილების შემდეგ ინგლისის მუშები საბოლოოდ დაინახავენ ყოფილი ბელადების გამცემლურ როლს, რის შესახებაც მათ ელაპარაკებოდნენ კომუნისტები.

ინგლისის კომპარტია დღემდის ჩინებულად მუშაობდა. შეიძლება დარწმუნებით ვსთქვათ, რომ მომავალშიაც გადასჭრის იმ ამოცანებს, რომლებიც მის წინაშე სდგას.

ა. კ—ა.

„კრ. ვ.“

# ცვალებადელები შეუდგენ სწავლებას

## ცვალებადელები მეცადინეობენ

მე-4 ლეგ. 8 ასეული.

ასეულში უკვე დაიწყო სისტემატიური მეცადინეობა ცვალებადელების მოსვლის შემდეგ.

ახალწვეულები ენერგიულად ეკიდებიან მუშაობას. დიდათ არიან დაინტერესებული სამხედრო მეცადინეობით. თითონაც იციან, რომ მცირე დროა მათ განკარგულებაში და მთელი ენერგიით მოეკიდენ მეცადინეობას.

ძველი წითელ არმიელები ყოველმხრივ უწყობენ ხელს, რომ კარგად შეითვისონ სამხედრო საქმე.

ხშირად სწარმოებს აგრეთვე საუბრები მათთან სხვა და სხვა საყურადღებო საკითხებზე.

**ხარებაშვილი.**

## ცვალებადელებთან მუშაობა

მე 5 ლეგიონი.

მე-3 ლეგიონის ბანაკად გასვლის შემდეგ, მისი ყაზარმები დაიკავა მე-5 ლეგიონმა და მიჩუმებული შენობა კვლავ ახმაურდა.

გამოცოცხლებული და ენერგიული მუშაობით ყაზარმები მალე იქნა მოწყობილი ყოველ მხრივ. 17 მაისიდან შეუდექით ნორმალურ მეცადინეობას ახალ წვეულებთან. მეცადინეობის საათები განაწილებულია და თავ-თავის დროზედ სწარმოებს. ცვალებადელები გულმოდგინეთ და მონდომებით მეცადინეობენ. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

საერთოდ მეცადინეობა წვევამდელებთან კარგად სწარმოებს. თავისუფალ საათებში, განსაკუთრებით საღამოობით, ყოველ კუთხიდან გაისმის მხიარული ყიჟინა—ჟრიამული, ცეკვა—თამაში და სხვა. სამსახურისადმი საერთო განწყობილება საუკეთესოა.

**ოგანოვი.**

## სამხკორთა წრე ამოძრავდა

4-ე ლეგიონი

ლეგიონის მაშტაბით სამხკორთა წრე ჩამოყალიბდა მარტში. ამორჩეული იქნა ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობდა ლეგიონის ყველა წერტების სამხკორების მუშაობას. ამ ჟამად ყველა წერტებზე მდგომ ნაწილებმა მოიყარეს თავი ლეგიონში. გაერთიანდენ სამხკორებიც. წრემ განაახლა მუშაობა. მიღებულია ყოველგვარი ზომები, რომ რაც შეიძლება მეტი ახალწვეულები იქნენ ჩათრეული მუშაობაში.

25 მაისს შესდგა წრის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში დასმული იყო სამხკორთა ბიუროს მოხსენება ლეგიონში მუშაობის შესახებ, მომავალი მუშაობისა და ბიუროს გადარჩევის შესახებ.

სამხკორთა წრის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. აირჩა ხელახალი შემადგენლობის ბიურო, რომელსაც დაევალა ყოველგვარი ზომები მიიღოს, რაც შეიძლება მეტი ცვალებადელები ჩაითრიოს მუშაობაში.

**ა. იმერლიშვილი.**

## გაერთიანებული კრება ცვალებადელებთან.

მე-2 არტლეგიონი.

26 მაისს ლეგიონში შესდგა გაერთიანებული კრება ცვალებადელებთან. კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება კლუბის აქტიური მუშაობის შესახებ. დაწვრილებით იქნა ახსნილი თუ რა მიზანს ემსახურება კლუბი და როგორ დამოკიდებულებაში შედის ის წითელ არმიელებთან. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ცვალებად წითელ არმიელებში, რომლებმაც მრავალი შეკითხვები შეიტანეს და კიდევ უფრო გულდასმით უსმენდენ განმარტებას.

დასასრულ არჩეული იქნენ ცვალებადელებიდან კლუბის მუშაობაში დამხმარეთ რამოდენიმე აქტიური წითელ არმიელები.

მეორე მოხსენება გაკეთებული იქნა აგრეთვე ცვალებადელების ჯამაგირების შესახებ. ბატარეიის უფროსმა ვრცელი განმარტება მისცა ცვალებადელებს ამ საკითხის შესახებ. იყო მრავალი შეკითხვები, რომლებსაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გაეცა მომხსენებლის მიერ.

საერთოდ ძლიერ შინაარსიანათ იქნა ჩატარებული აღნიშნული კრება.

**პ. კახიძე.**

## წერილი შვებულ წითელ არმიელისაგან.

წითელ არმიის რიგებში წელიწად-ნახევარი დავყავი. ამ ხნის განმავლობაში წითელმა ყაზარმამ მომცა ნამდვილი წარმოდგენა იმაზე, თუ რას ემსახურებოდა წითელი არმია და ვისი ინტერესების დამცველი არის ის. აგრეთვე წითელ ყაზარმაში შევისწავლე ის საჭირო საკითხები, რომლებიც გამოსადეგი იყო სოფლად მუშაობისათვის.

დავბრუნდი თუ არა სოფელში უვადო შვებულებით ჩავები სოფლად მუშაობაში და პირნათლად ვასრულებ ყველაფერს, რაც წითელმა ყაზარმამ და მისმა ხელმძღვანელებმა დამავალეს სოფლად მუშაობისათვის.

ჩემი გულწრფელი სალამი მე-5-თე ქართ. მსრ. ლეგიონის უფპოლიტშემადგენლობას,

მე 6-თე ქართ. ლეგიონის

**ყოფილი წით. არ. 8. როგავა.**

## დავიწყეთ სკოლის გარეშე მუშაობა

მე-6 ლეგიონის მე-5 ასეულის ძირედი შემადგენლობა შეუდგა ახალწვეულ წითელარმიელებთან სკოლის გარეშე მუშაობას; ამ მიზნით ჩამოყალიბებულია შემდეგი ჯგუფები: მკითხველთა ჯგუფი, მომხსენებელთა ჯგუფი და პოლიტწრის ჯგუფი.

ყველა ჯგუფებში ვიყენებთ აქტიურ წითელარმიელებს, რომლებიც ყავს ნაწილს. ტარდება ყოველ საღამოს, უნცროს მეთაურებისა და აქტივების მეოხებით ხმამაღალი კითხვები და მოხსენებები საუბრის ხასიათით, რომლებიც დიდ დაინტერესებას იწვევს ახალ წვეულებში.

საუბრების ჩატარების დროს გვესწრება ასეულის მეთაური და პოლიტხელი, იძლევიან აუარებელ შეკითხვებს. წითელარმიელები დიდ აღტაცებაში მოდიან, რომ ჩვენს ყაზარმაში ხედავენ ნამდვილ სკოლას, რომლის შესახებაც გვქონდა მათთან სოფლებში ლაპარაკი მათი შეკრების დროსაც.

**მეფარიშვილი.**

## უკვე გადავსჭიმეთ კარვები

მე-3 ლეგიონი.

ბანაკში ჩასვლისთანავე ლეგიონი შეუდგა კარვების მოწყობას. სხვა ყველაფერი მოწყობილი დაგვხვდა წინდაწინ გამოგზავნილი წითელ არმიელების მიერ. ლეგიონის ჩასვლის დღეებიდან სწრაფად მიდიოდა მუშაობა ბანაკის მოწყობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ გვიშლიდა ხელს გამუდმებული წვიმები, მუშაობა მაინც ნაყოფიერად ჩავატარეთ.

გვაკლია მხოლოდ მაგიდები სასადილოში, რისთვისაც მიღებულია შესაფერი ზომები.

**პაიჭაძე.**

# ბანაკის პირველი დღეები

## წითელი მხედრები ბანაკად

გაშლილი ველი
შიშველა მთებით
და არფაჩაი
მოკლე კალთებით,
სადაც კაკანებს
ტყვიის მფრქვეველი.
წითელი ჯარი
მიილტვის თარში,
ტყვიის წივილი
გაისმის ქარში.
ყველა გართულა
ერთნაირ ფიქრში—
ვინ ვის აჯობებს
საველე ჯიბრში...
და შუადღეზე
მჭიდრო გუნდებად
ჯარი კარვისკენ
გამობრუნდება.
მოსჩანს მდინარე
თითქოს ხევშია
გადაყლაპული
და მის კალთაზე
პირმომცინარე,
თეთრი კარვები
გადაწკაპული.
წითელი დროშა
მიმოფრიალებს
მხედართა წინა
გამონაქანი,
ისმის სიმღერა:
„ჩვენ დავამსხვრიეთ
ძველი საკანი
და ჩვენი ფიქრი
მას დასტრიალებს
შევინარჩუნოთ
შრომის აკვანი“...
ამას ყურს უგდებს
დიდი ხალისით
აყვავებული
ლენინაკანი.

**დ. ხაზალია.**

## გავდივართ პრაქტიკაზე

მე-2 ლეგ. 2 ათასეული.

ჩვენი ათასეული ლეგიონთან ერთად გაემგზავრა ბანაკში. წითელ არმიელებს მეტის-მეტად ახარებდა ბანაკში გასვლა. მთელი დღე გზაში მხიარულებაში გაატარეს. ზამთარში მეცადინეობის დროს ზედმიწევნით კარგად შევითვისედ თეორიულად სამხედრო საქმე. მისი პრაქტიკაში გადატანა კი ყველას დიდათ აინტერესებს.

უკვე მოვაწყვეთ კარვები. ბანაკი ამუშავებულია. მოწყობილია კლუბი, სასადილო, ლენინის კარვები და სხვა. სხვა და სხვა წრეებმა უკვე განაახლეს მეცადინეობა. მიუხედავად ცუდი ამინდებისა, სამხედრო მეცადინეობა მაინც სწარმოებდა. გავდივართ პრაქტიკაზე.

ხელმძღვანელები ენერგიულად ეწევიან მუშაობას. უფროსებთან დამოკიდებულება წითელ არმიელებისაგან საუცხოვოა.

**ი. მარინავა.**

## ჩვენი საქმიანობა

ქართ. სამხ. პოლიტ. სკოლა.

უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც ჩამოვედით ბანაკში. გზაში ფეხით ვიმგზავრეთ. დაგვესწრო ცუდი ამიდები და ამიტომ სკოლამ ერთი კვირით დაისვენა. ჩამოსვლისთანავე ჩვენ შეუდექით ბინების მოწყობას. სკოლამ მოაწყო ორჯერ გაერთიანებული კრება და გადახალისებულ იქნენ სხვა და სხვა საქმეში ჩაბმული მომუშავე ამხანაგები, როგორიცაა კლუბის გამგეობა, რედკოლეგია და სხვა ასეთები. ჩამოყალიბებული იქმნა აგრეთვე სხვა და სხვა წრეები, როგორიცაა დრამატიული, ექსკურსის და სხვა.

დრამატიული წრე ჩამოსვლისთანავე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. პირველად წარმოდგენა ჩვენს მიერ დაიდგმება ადგილობრივ და შემდეგ ჩვენ საშეფო სოფელში.

მეცადინეობა ეხლა უკვე იწყება, მაგრამ ხელს გვიშლის ძლიერ ცუდი ამინდები და სიცივეები.

აქ გავიცანით პირველად აზერბეიჯანის და სომხეთის პოლიტსკოლის კურსანტები და გავაბით ერთმანეთთან კავშირი.

**გ. ცქ—ლი.**

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

### მოგვეცით წყალი

მე-2 ლეგიონმა მშვენივრად მოაწყო საზაფხულო საცხოვრებელი ბინა-ბანაკი, მაგრამ წყალის მხრივ კი ვერ ვართ უზრუნველყოფილი. ამის გამო გვიხდება მტკვარზე სირბილი. განსაკუთრებით დილდილობით არის შესამჩნევი ეს მოვლენა ნაწილისთვის.

წითელ არმიელები მტკვარზე გარბიან პირის დასაბანად და ვეღარ უსწრებენ ამოკითხვას. ამას კი არევ-დარევა შეაქვს ნაწილში. საჭიროა როგორმე გამოასწორონ ეს ნაკლი და უზრუნველყონ ბანაკი წყლით.

**ი. ჩ.**

### სადილი ცუდი გვეძლევა

ტფ. სამხედრო გოსპიტალში ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ ცუდ სადილს გვირიგებენ ავადმყოფებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია შავი ქაში, რომელსაც ერთი საჟნის სიახლოვეს ვერ კარობენ ავადმყოფი წითელ არმიელები და მშიერი რჩებიან.

ავადმყოფობასთან უჭმელობაც კი დაუშვებელია.

საჭიროა სასწრაფოდ მიიღებდეს ზომებს სამნეო ნაწილი და გამოასწორებდეს სადილის საქმეს.

**ჩიყოლაშვილი**

### პური ცუდი გამომცხვარი გვეძლევა

მე-2 ლეგიონში პური ცუდათ ცხვება, ხელზე გვეძლევა ცხელი და ცომი პური. საჭიროა ამას მიექცეს შესაფერისი ყურადღება, ვინაიდან გამოუმცხვარმა პურმა შეიძლება გამოიწვიოს ავათმყოფობანი.

**გრანტი**

## როგორ უნდა მიიღონ შეღავათები 1904 წ. დ. ახალგაზრდობამ ჯარში გაწვევის დროს.

მოქალაქეებმა, რომლებსაც სურთ მიიღონ შეღავათები ოჯახურ-შრომის მდგომარეობის შესახებ, ამის შესახებ უნდა განაცხადონ. ვინც არ განაცხადებს, მას შეღავათება არ მიეცემა. განცხადება მიცემული უნდა იქნეს სამაზრო ან მის დაგვარ საგაწვევო კომისიის სახელზე, შეიძლება სოფლის საბჭოშიც.

განცხადებაში ჩამოთვლილი უნდა იქნეს ოჯახის ყველა შრომის უნარის მქონე და უნარ დაკარგული წევრები, მამაკაცები, ქალები და ბავშვები. უნდა აღინიშნოს თითეულის წლოვანება, შრომის უნარის მქონეა თუ არა. საჭიროა განცხადებასთან ერთად კომისიას წარედგინოს შესაფერი საბუთები, რომლებიც დაადასტურებენ განცხადებაში აღნიშნულ შრომის უნარ დაკარგულ პირთა შესახებ ცნობას.

საგასაწვევო კომისია ადასტურებს, ეკუთვნის თუ არა გაწვეული იმ ოჯახს, რომელსაც ის აკუთვნებს თავს. უნდა შემოწმდეს ოჯახის შემადგენლობის რიცხვის სისწორე, მისი ქონებრივი მდგომარეობა. წესდება შეიძლება თუ არა კანონის ძალით მიეცეს შეღავათი ამა თუ იმ მდგომარეობის დროს. ოჯახის შემადგენლობასა და მის ქონებრივ მდგომარეობას საგაწვევო კომისია ამოწმებს საბუთების მიხედვით. სოფლის მოსახლეობისათვის ასეთ საბუთებათ გამოდგება: სოფლის საბჭოდან მიცემული მოწმობა, გლეხკომებიდან ან და მის შესაფერ ორგანიზაციებიდან.

1 ივლისისათვის გასაწვევ ახალგაზრდობის სია გამოკრული უნდა იქნას სამხედრო კომისარიატებში, სამაზრო და სათემო აღმასკომებში და მილიციის სამმართველოებში. უნდა შემოწმდეს ისინი და თუ რაიმე შეცდომას აღმოვაჩენთ, სასწრაფოდ უნდა განვაცხადოთ ამის შესახებ საგამოწვევო კომისიაში.

კომისია თავის მხრივ ვალდებულია განიხილოს განცხადება და არა უგვიანეს ერთი თვისა გაწვევის დღიდან, გამოიტანოს სათანადო დადგენილება.

კომისიის დადგენილებით უკმაყოფილო მოქალაქეს შეუძლია გაასაჩივროს ის საგუბერნიო ან მის თანაბარ საგაწვევო კომისიაში. საგუბერნიო კომისია ვალდებულია ისედაც თვალყური ადევნოს სამაზრო კომისიის მუშაობას და თუ რაიმეს შეამჩნევს, საჩივრის შემოუსვლელადაც უნდა განიხილოს საქმე. საგუბერნიო კომისიის დადგენილება საბოლოოა და არ შეიძლება იქნეს გასაჩივრებული.

1 ივლისიდან გაწვევის დღემდე შესაძლებელია შეიცვალოს გასაწვევი მოქალაქის ოჯახური მდგომარეობა. მაგალითად 3 ხარისხის შეღავათიანს შეიძლება გამოაკლდეს—მოუკვდეს ოჯახში შრომის უნარის მქონე წევრი. მაშინ მას უფლება აქვს ისარგებლოს 1-ლი ხარისხის შეღავათით. ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა განაცხადონ. თუ ნამდვილ სამსახურში მიღებულის ოჯახური მდგომარეობა შეიცვლება შემდეგ, სულ ერთია ის შეღავათებით ვეღარ ისარგებლებს და იძულებული იქნება დაჰყოს ჯარში სამსახურის დასრულებისათვის საჭირო დრო.

ზოგიერთ წითელ არმიელებს ყავთ ოჯახებში ისეთი წევრები, რომლებიც უნდა იქნენ გამოწვეული მიმდინარე წელში. ხშირად არ იციან სოფლებში, რა უნდა ქნან იმისთვის, რომ მიიღონ შეღავათები, თუ ამას უფლება აქვთ.

ამიტომ თითეული წითელი არმიელის მოვალეობაა დაწვრილებით შეატყობინონ თავიანთ ოჯახებს 1904 წ. დაბადებულთა ჯარში გაწვევის წესის შესახებ და თუ შესაძლებელი იქნება წერილთან ერთად გაუგზავნონ ეს განმარტებაც.

# ამბები მაზრებიდან

**დასასვენებელ სახლებსა და აგარაკებში გაგზავნა**

აჭარისტანის დამზღვევი სალარო პირველ ივლისიდან დაიწყებს ავადმყოფების გაგზავნას აგარაკებსა და დასასვენებელ სახლებში.

მიმდინარე სეზონში აჭარისტანს დაეთმო 324 ადგილი დასასვენებელ სახლებში და 65 ადგილი სანატორიუმებში.

**ქარხნის ამუშავება**

შეკეთების შემდეგ ამ დღეებში განახლდება მუშაობა კასრების ქარხანაში.

**კავშირი სოფელთან**

ბათომის ქალაქის აღმასკომმა გამოჰყო სექცია, რომელსაც მიენდო მუშაობა ქალაქის სოფელთან დაახლოების საქმეში

გუშინ სექცია გაემგზავრა სოფელ გონში.

**საავადმყოფოს შეკეთება**

დასრულდა აჭარისტანის მთავარი საავადმყოფოს შეკეთება. გაფართოებულ იქნა ზოგიერთი განყოფილება. ხელახლა მოწყობილია რენტგენის კაბინეტი. საავადმყოფოს შეკეთებაზე დახარჯულია 25 ათასი მანეთი.

**ნავთსადგურში**

ბათომის ნავთსადგურში ამერიკიდან შემოვიდა გემი „ულდონი", რომელმაც მოიტანა: საქართველოს შავი ქვის სააქციონერო საზოგადოებისთვის 8 სახლი—მუშებისთვის; აზნავთისთვის—დიდძალი მანქანა და სასოფლო სამეურნეო საგამოფენო ნაწარმოები.

სტამბოლში გაგზავნილ იქნა 120 ათასი ფუთი ნავთი.

# სხვადასხვა

## საქონლის ჭირი

საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატის სტატისტიკურ ცნობის მიხედვით აპრილის თვის განმავლობაში არ შენელებულა საქონლის ჭირი.

## საექიმო შემადგენლობა საქართველოში

ამ ჟამად მთელს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის კომისარიატს აყვანილი ყავს აღრიცხვაზე 3912 კაცი საექიმო პერსონალისა. აქედან 1420 ექიმია, 379 კბილის ექიმი, 428 ფერშალი, 498 ბებია-ქალი, 732 ფარმაცევტი და სხვა.

## საგარაკო აღმშენებლობა

საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ მიღებულია მიმავალ წლის სააგარაკო აღმშენებლობის ხარჯთ-აღრიცხვა 268 ათას მანეთის რაოდენობით.

# ხელოვნების სასახლეში.

კვირას 30 მაისს საღამოს 8 საათზე შესდგება მორიგი საჯარო კრება საქართველოს მწერალთა კავშირისა. მოხსენებას წაიკითხავს არჩილ ჯაჯანაშვილი შემდეგ თემაზე: ი. მანდელშტამის თეორია—ხელოვნების". შესვლა ჩვეულებრივ წესით.

შაბათს 29 მაისს საღამოს 8 საათზე ხელოვნების სასახლეში არტურ ლეისტი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქართველები".

შესასვლელი ბილეთები იყიდება ხელოვნების სასახლეში.

# სამხედრო ქრონიკა

**სამხედრო სასწავლებლების მუშაობა საბანაკო პერიოდში.**

რესპუბლიკის პოლიტსამმართველომ დააგზავნა ცირკულიარი სამხედრო სასწავლებლების მუშაობის შესახებ საზაფხულო პერიოდში.

სამხედრო სასწავლებლებმა საზაფხულო პერიოდი უნდა გამოიყენონ არმიის ნაწილებთან ყოველმხრივი კავშირების განმტკიცებისათვის, სოფლად მუშაობისათვის, სკოლების მოსამზადებლად კურსანტების გამოშვებისთვის და ტერშეკრებაზე მომავალი მივლენისთვის. პარტგანათლების საქმეში მუშაობა გამოყენებულ უნდა იქნას შინაპარტიულ ცხოვრების მთავარი საკითხების დასამუშავებლად. პოლიტმუშაობის დარგში სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას პრაქტიკულ მეცადინეობისკენ ნაწილებში.

**სამხედრო მოსამზადებელ სკოლების გამოშვება.**

კურსანტები, რომლებიც ამ წელში დაამთავრებენ სამხედრო-მოსამზადებელ სკოლებს, გადაყვანილ იქნებიან ნორმალურ სამხედრო და სამხედრო პოლიტსკოლების დაბალ (სპეციალურ) კლასებში, თუ რომ წარმატებით ჩააბარებენ თავიანთ სკოლებში გასათავ გამოცდებს. სკოლების არჩევაში ანგარიში ეწევა თვით კურსანტის სურვილს. ნორმალურ სკოლებში მისაღებ გამოცდებიდან ეს კურსანტები თავისუფალი არიან.

# უცხოეთის არმიებში

**რა ჯდება თითეული პოლონელი ჯარის კაცის შენახვა.**

აპრილის დამლევში პოლონეთის ერთ-ერთ საოლქო კორპუსის უფროსმა გამოაქვეყნა ცნობები პოლონეთის არმიის მდგომარეობისა და მოსახლეობის გასამხედროების შესახებ.

მიმდინარე წელში 1-ლ საკორპუსო ოლქში 1-ლი ივლისიდან ეწყობა 1000 საზაფხულო ბანაკი ექვსი კვირის ვადით; რომ საშუალო სასწავლებლის მოსწავლეებმა განვლონ სამხედრო სწავლების სათანადო კურსი.

თითეული ჯარის კაცის შენახვა აღნიშნული კორპუსის უფროსის ცნობით ჯდება 58 ოქრო თვეში, ე. ი. 12 მან. და 23 კაპ. ჩვენი ფულით. ამ თანხებიდან 7 მან. და 9 კაპ. მიდის საჭმელზე, 3 მ. და 36 კაპ. ტანსაცმელზე, 1 მან. და 26 კაპ. ბინაზე და 52 კაპ. კი ჯამაგირისათვის.

**იაპონია არ ჩამოურჩება ინგლისს.**

მიმდინარე წლის დასაწყისში იაპონიის პარლამენტმა დაამტკიცა ხარჯთ აღრიცხვა საზღვაო ფლოტისათვის 26.000.000 იენის (1 მან. უდრის დაახლოებით) რაოდენობით.

ამჟამად იაპონიის გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობები ახალი დამატებითი პროგრამის შესახებ, რომელიც შესულია პარლამენტში განსახილველად და რომელიც მოითხოვს კიდევ 320.000.000 იენის გაღებას ფლოტის საჭიროებისათვის. ამ პროგრამაში გათვალისწინებულია შემდეგი გემების აგება: 4 კრეისერი, 5 ნაღმოსანთა ესკადრილია, 20 დამხმარე გემი და 5 ჩინეთის მდინარეებზე მოსახმარი ნავი.

იაპონია იმდენად აძლიერებს თავის ფლოტს, რომ სადაც არის დაეწევა „ზღვების მპყრობელ" ინგლისს.

**ახალი ყუმბარით მზიდავი.**

ამას წინად დაამთავრეს და მიიღო საფრანგეთის მთავრობამ „ფარმანის" სისტემის ახალი უზარმაზარი ყუმბარით მზიდავი ჰაეროპლანი.

ეს ჰაეროპლანი, როგორც დამტკიცდა ცდებით უდიდესია აქამდე არსებულ ჰაეროპლანებზე მთელ მსოფლიოში.

აპარატი იწონის უტვირთოდ 7 ტონს, ხოლო სულ დატვირთვის შემდეგ 12 ტონს. ფრენის სიჩქარე უდრის საათში 160 კილომეტრს. შეუძლია ძირს დაუშვებლად დაჰყოს ჰაერში 10 საათი. ჰაეროპლანის პირადი შემადგენლობა უდრის 6 კაცს. მას აქვს 4 მოტორი 2 ათასი ცხენის ძალით.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ღილები სისხლისაგან.**

ყრიან ნახერხს მშრალით შეზავებულ ცხოველების სისხლში. როდესაც ნახერხი შეისვამს სისხლს, მას ქბავებენ. შემდეგ ახურებენ და ცხელს სტენიან საქაჩით. შესაღებავათ უშვებენ ნავთში. ამის შემდეგ ღილები ილებება შავათ.

**12.000 ფუთის სიმძიმის კარები.**

ამერიკა მდიდართა ქვეყანაა, მაგრამ ამავე დროს ის ითვლება ქურდების ქვეყანადაც. ქურდობის ტეხნიკა მეტად განვითარებულია და ამიტომ, რომ დაიცვან თავი და უზრუნველყონ თავისი ქონება გატაცებისაგან, ფული შეაქვთ ბანკებში.

ერთერთ ასეთი ბანკის სალაროს ოთახი მთლიანად გაკეთებულია ფოლადისაგან. კარებიც ფოლადის აქვს და იწონის 190 ტონას. მისი სისქე სამ მეტრამდე აღწევს. ამას გარდა სალაროს ყველა კედლები და კარები დაფარულია ელექტრონის გამტარის ბადით. თუ გასწყვიტე ერთი რომელიმე მათგანი იმ წამსვე მიიღებენ დარაჯები სიგნალს ავტომატიურად.

## პასუხი შეკითხვებზე

— დევაძეს. გარკვეულად მოგვწერე, თუ ვინ გართმევთ მიწას, რომ შეგვეძლოს პასუხის გაცემა.

— მაჭარაძეს. მიმართედ ლეგ. ექიმს, რომ მან გადაგაგზავნოს საგარნიზონო კომისიაში ჯანმრთელობის შესამოწმებლად. კბილები უფასოდ უნდა გიწამლონ სამხ. ცენტრალურ ამბულატორიაში.

— ჭოჭუას. მიმართედ სახალხო სასამართლოს.

— კინტრიშისპირელს. მიმართედ თხოვნით აჭარისტანის ცაკს.

— დათუნაშვილს. სამსახურის გათავების შემდეგ შეგიძლიათ შეხვიდეთ, თუ ოთხი წლის განმავლობაში ეწეოდით ფიზიკურ შრომას.

— ბუთნუზს. არ გაგანთავისუფლებენ. ყოველ შემთხვევაში მიმართედ ტერსამმართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას.

— კალამკაროვს. თანახმად აღმასკომის დადგენილებისა 1925 წლის მარტიდან წითელ არმიელების ოჯახები უკიდურეს შემთხვევებში, შესაძლებელია განთავისუფლებულ იქნენ სრულიად ოთახის ქირიდან.

— გორდელაძეს. თუ 1925 წ. 1 დეკემბრამდე ლებულობდით მოგეცემათ.

— ჭყონიას. არავითარი თანხა არ არსებობს.

— სულაძეს. ცვალებად შემადგენლობაში ჩაირიცხებით თუ არა ვერ გიპასუხებთ, რადგან არ ვიცით თქვენი ოჯახური მდგომარეობა.

— ს—ძეს. პარტსკოლაში შესვლის შესახებ მიმართედ სამხკომს. მიღება იწყება აგვისტოდან.

— ხაჩიძეს. მიმართედ სამნეო ნაწილის უფროსს.

— მჭედელს. ჯამაგირს ლებულობთ სწორად.

— იმნაძეს. მიმართედ ლეგ. ექიმს, რომლისაგანაც მიიღებთ თქვენს შეკითხვის პასუხს.

— ზ—ძეს. გაზაფხულზე არავითარი გაწვევა არ იქნება, გაწვევა მოხდება შემოდგომაზე (ბრ. № 965—25 წ.)

— პ—რს. გადაყვანილი არ იქნებით (ბრ № 834—25 წ.)

— მ—შვილს. სამწყობრო მეცადინეობიდან განთავისუფლებული არ იქნებით.

— ვ—ძეს. შეღავათის მიცემაზე უარის თქმა კანონიერი იყო (ბრ. № 865—25 წ.)

— მონადირეს. ყოველგვარი ცნობები ნადირობის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ მონადირეთა საზოგადოებაში. სოლოლაკი და ფრეილინის ქ. კუთხე №7—2.

**ზედაუბნელს.** გეკუთვნით 15 დღის, თუ არ დაგაკმაყოფილებენ, მიმართედ შრომის სასამართლოს.

# პასუხი სამხკორებს

**რევიშვილს** (2 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია მეტად გაუგებრათ არის ნაწერი. სწერეთ უფრო გარკვეული ხელით, რომ შესაძლებელი იქნეს წაკითხვა.

**პ. კახიძეს** (ცხენ. ლეგ.) წერილი ყაზარმაში მომხდარი ელსანათურების ჩაქრობის შესახებ, უმნიშვნელოა არ დაიბეჭდება.

**ნარინჯს** (მესანგრეთა ასეული) თქვენი კორესპონდენცია უმნიშვნელო საკითხს ეხება. არ დაიბეჭდება. მოიწერეთ სხვაზე.

**ალგზნებულს** (მეთაურთა სკოლა) ლექსი „წითელი არმია" არ გამოდგა.

**ბურჭულაძეს და სიდავას** (1-ლი ლეგიონი) თქვენი, „ყურანისადმი" საპასუხო წერილები არ დაიბეჭდება.

**კ. ელბაქიძეს** (1-ლი ლეგიონი) თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. მეთაურებმა იციან თავისი მოვალეობა და ისე იქცევიან. მით უფრო კარგად იციან თუ რა უნდა აკეთონ.

**ელიგულაშვილს** თქვენი წერილი გადაეგზავნა ნაწილის მეთაურს საქმის გამოსარკვევათ.

**ხვინგიას** წერილი „ყურადღების ღირსია" უმნიშვნელო საკითხს ეხება. მოიწერეთ სხვაზე და ხშირად.

# კ. წ. დ. არმიისა და ფლოტის სახლში

**დღეს, 29 მაისს**

## მოხდება ბაღის საზეიმო გახსნა

**თეატრში:** უკრაინის დრამის სეზონის გახსნა. პრემიერა—ულაგაი კრასოვსკის **"გაზაფხულის ღამის ძილი"**. ზღაპარი სიმღერითა და ცეკვით.

კოლექტივი 30 კაცი. მომღერალთა გუნდი—25 კაცი.

**კინო:** ახალი კინო-სურათი.

**ღია ესტრადა:** საზეიმო სხდომა 19 საათზე. წითელ არმიისა და ფლოტის სახლის ცოცხალი გაზეთის—„ლურჯ ხალათის" პირველი ნომერი.

დაუკრავს პირველ ქართულ ლეგიონის სასულე ორკესტრი.

**ღიაა:** ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სათამაშო ოთახები, ბილიარდი, პოლიტ-მომუშავის კაბინეტი, სამხედრო კაბინეტები, ტირი, ბუფეტი და სხვა.

შესვლა მისაწვევ ბარათებით 22/V ა. წ.

ხვალ რუსული დრამის სეზონის გახსნა.

პრემიერა—„ნიკოლოზ 1-ლი".

წ. ა. და ფლოტის სახლის პარტსაგანმანათლებლო საბჭო


## რა ღირს 1-ლ ივნისიდან „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 35 კაპ.
3 თვით — 90 კ.
6 თვით — 1 მ. 70 კ.
12 თვით — 3 მ 20 კ.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 30 კაპ.
3 თვით — 80 კ.
6 თვით — 1 მ. 50 კაპ.
12 თვით — 3 მ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. ღ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.